

# გზა არსაით

გაზეთი “ყველა სიახლე” – 29 ივნისი – 5 ივლისი, № 25, 2011

„საქართველო, როგორც სინგაპური – ეს მოდელი სულელურია, სინგაპურიზაციის იდეა საქართველოსთვის მცდარი და ამავე დროს საშიშიცაა“ – ამ სიტყვებმა, რომელიც მარკ მალენს ეკუთვნის და ჟურნალ „ლიბერალში“ დაიბეჭდა, დიდი აჟიოტაჟი და ვნებათაღელვა გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. შეგახსენებთ, რომ მარკ მალენი არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ გამგეობის თავმჯდომარეა, ე.წ. სინგაპურიზაციის იდეაზე კი ხელისუფლება ისევე ხშირად გვესაუბრება, როგორც ჩვენი ქვეყნის მიღწევებსა და წარმატებებზე. გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა.

– ბატონო ლადო, რატომ გამოიწვია მარკ მალენის სიტყვებმა ასეთი აჟიოტაჟი?

– ერთ ძველ ანდაზას მოვიშველიებ – “ქურდს ქუდი აეწვა” და იმიტომ. მარკ მალენის წერილი მეც წავიკითხე ჟურნალ „ლიბერალში“, შეიძლება ითქვას, რომ ეს საკმაოდ ზომიერი წერილია, შეიძლება ყველაფერი უფრო მკაცრადაც თქმულიყო. ავტორმა საკმაოდ მარტივი მაგალითები გამოიყენა იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ ვერ შეძლებს საქართველო სინგაპურის მოდელის გამოყენებას. არა მარტო მარკ მალენი, ამის შესახებ დასავლეთში გამოცემულ ჟურნალებშიც ხშირად იწერება და ყველგან ჩანს, რომ საქართველო მეორე სინგაპური ვერ გახდება.

– რატომ?

– პირველი და მთავარი: ჩვენ არა ვართ ჩინელები, ანუ ჩვენი მენტალიტეტი პრინციპულად განსხვავდება ჩინური მენტალიტეტისაგან. ის, რაც შეიძლება ჩინური კულტურის პირობებში განხორციელდეს, შეუძლებელია ქართული კულტურის პირობებში. მაინც რა არის სინგაპურში ასეთი განსაკუთრებული? – ეს არის უტყვი მორჩილება ზემდგომი სტრუქტურებისადმი, რაც ასე დამახასიათებელია ჩინური ფენომენისათვის. ეკონომიკის სფეროს თუ ავიდებით, სინგაპურში არის სახელმწიფო კაპიტალიზმი, იქ ყველა დიდ პროექტს იწყებს სახელმწიფო, სახელმწიფო აყალიბებს კომპანიას, ხელს უწყობს,

ავითარებს და მერე ზრუნავს მის პრივატიზაციაზე. ეს ნამდვილად მცდარი გზა იქნებოდა საქართველოსთვის იმიტომ, რომ სახელმწიფომ კი არ უნდა შექმნას კომპანიები, არამედ ხელი უნდა შეუწყოს, რომ ისინი თავისით იქმნებოდნენ. მეორე, რაც პრინციპულად მიუღებელია: სინგაპური არის კუნძული, სადაც მდებარეობს ქალაქი-სახელმწიფო. იქ სოფლის მეურნეობა ფიზიკურად არა არსებობს. თუ მათ მოდელს გადმოვიღებთ, რა უნდა ვუყოთ ჩვენი მოსახლეობის 57 პროცენტს, რომელიც სოფლად ცხოვრობს? როგორც ჩანს, საქართველოს დღევანდელ მმართველ ელიტას მოსწონს ის, რომ სინგაპურს უკვე 50 წელია ერთი პოლიტიკური პარტია მართავს.

– ე.ი. ამ ქვეყნის პოლიტიკური წყობა მოსწონთ?

– ეს აშკარაა. მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის განცხადებებისა, რომ საქართველო სინგაპურის გზას უნდა დაადგეს, რეალურად საქართველოს ეკონომიკა სინგაპურის გზას არ ადგას იმიტომ, რომ ღვთის მადლით საქართველოში სახელმწიფო კაპიტალიზმი არ არის. ეკონომიკის საბურველქვეშ სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის შემოპარების მცდელობა უნდა ვიგულისხმოთ, თორემ სახელმწიფო კაპიტალიზმის იდეისაკენ მისწრაფება არც სააკაშვილს აქვს და არც შევარდნაძეს ჰქონია. სახელმწიფო კაპიტალიზმი თავის დროზე უნდოდა ზვიად გამსახურდიას, მაშინ ამ იდეის მთავარი გამტარებელი იყო პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი. რაც ზვიად გამსახურდიას რეჟიმი დაემხო, იმის შემდეგ სახელმწიფო კაპიტალიზმის იდეა საქართველოში პოპულარული არასოდეს ყოფილა. ეკონომიკის სინგაპურიზაციის გზაზე სააკაშვილიც არ დგას, მაგრამ მას ეს სჭირდება, რათა გაამართლოს ავტორიტარული მმართველობა ქვეყანაში. თუ გახსოვთ, ერთხელ თქვა კიდევ, ჩვენი პარტია 50 წლით არის მოსული ხელისუფლებაშიო. სწორედ იმიტომ, რომ სინგაპურული მოდელი ძალზე პოპულარულია ავტორიტარული მმართველებისათვის, ეკონომიკის სინგაპურიზაციაზე ლაპარაკობდა მაგალითად, პუტინი. ეს მოდელი კიდევ უფრო დიდი სისულელეა რუსეთისთვის, რადგან ამხელა ქვეყანა ვერასოდეს იქნება სინგაპური. სინგაპურიზაციაზე ლაპარაკობს ბელორუსიის ლიდერი ლუკაშენკოც. ასე რომ, „სინგაპურიზაციის“ იდეის წყალობით, მიხეილ სააკაშვილი არც თუ ისე სასურველი, ავტორიტარული მმართველების ჯგუფში ხვდება. ეკონომიკური თვალსაზრისით კი ამ იდეაში ჩვენთვის სერიოზული ნამდვილად არაფერია.

– ბატონო ლადო, ამ დღეებში გამოქვეყნდა ევროკავშირში ყველაზე მდიდარი ქვეყნების სია. ამ რეიტინგში პირველ ადგილზე არის ლუქსემბურგი –

ჩვენზე მცირე ქვეყანა, როგორც ტერიტორიით, ასევე მოსახლეობის რაოდენობითაც. ჩვენი ხელისუფლება ასეთი ქვეყნებისაკენ რატომ არ მიიღტვის?

– ლუქსემბურგი ევროკავშირის წევრი ქვეყანაა და მგონი უპრიანი იქნება ერთი რომელიმე ქვეყნის კი არა, ევროკავშირის მოდელის გადმოღებაზე ვისაუბროთ. ფორმალურად ამაზეც ლაპარაკობენ, მთავრობაც მუშაობს ევროატლანტიკურ ორიენტაციაზე და ეს არის ოფიციალურად გაცხადებული ვექტორი ჩვენი ქვეყნის განვითარებისა. თუმცა აშკარაა, რომ შეგნებულად ფერხდება ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის პროცესი, რომელსაც უკვე კარგა ხანია გვთავაზობს ბრიუსელი. ბრიუსელს აქვს გარკვეული პირობები და საქართველოს მთავრობა რატომღაც აჭიანურებს ამ პირობების მიღებას. სხვათა შორის, 11 თებერვალს, როდესაც სააკაშვილი წლიური მოხსენებით გამოდიოდა პარლამენტში, თქვა, რომ საქართველო 2015 წლისათვის უკვე მიაღწევს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს. არ მესმის რა საჭიროა ამისათვის ხუთი წელიწადი? თუ იქნება პოლიტიკური ნება, შეიძლება ყველაფერი გაცილებით სწრაფად მოგვარდეს. იმავე მოხსენებაში პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბრძანა, 6-7 წელიწადში სინგაპური ვიქნებითო. ანუ გამოდის, რომ 2015 წელს უნდა გვქონდეს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა, 2017-18 წლებში კი ვიქნებით მეორე სინგაპური. ეს ორი რამ სრულიად შეუთავსებელია ერთმანეთთან. ე.ი. რა ხდება? – სინგაპურის მოდელის დანერგვა ეკონომიკაში არ მიმდინარეობს, ევროკავშირთან დაახლოებაც ფერხდება. ლუქსემბურგს ვინ დაეძებს, იმასაც ვერ ვახერხებთ, რომ ევროკავშირის რომელიმე “განაპირა” ქვეყანას მივბაძოთ. მივბაძოთ თუნდაც იმ ქვეყნებს, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ კომუნისტური რეჟიმის ქვეშ იყვნენ, იმავე ბულგარეთს, ან რუმინეთს და მათი გამოცდილება გამოვიყენოთ.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაცია არ შედგეს. ეს აშკარად მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტია, ამიტომ საქართველო სინამდვილეში არც ევროპისაკენ მიდის და არც ევროკავშირისაკენ. ახლა სხვა მომენტი განვიხილოთ – მიდის თუ არა საქართველო რუსეთისაკენ? – აქაც იკვეთება სიმპტომები: ქონების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულ კომპანიებს მიეყიდეთ. აგერ ერთი თვის წინ „ინტერ რაოს“ კიდევ ორი ჰესი და სამი ჰესის აშენების ლიცენზია მიეყიდეთ, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად რომ ვთქვათ, საქართველო რუსეთის ეკონომიკისაკენ მიდისო, არც ამის არგუმენტებია

საკმარისი. ასე რომ, ჩვენ სამი მიმართულება გვაქვს: ერთი ოფიციალური – ეს არის ევროპული ვექტორი, მეორე – მხოლოდ განცხადებების დონეზე გაცხადებული – სინგაპურული ვექტორი და მესამე – ეს არის რუსული ვექტორი. სინამდვილეში კი ეს სამივე გზა იმდენად შეუთავსებელია, რომ რჩება მეოთხე გზა – გზა არსაითკენ, ანუ ჩიხი.

**– ე.ი. ერთს ფიქრობენ, მეორეს ამბობენ და მესამეს აკეთებენ?**

– დაახლოებით ასეა: ილუზიას ქმნიან, რომ ქვეყანა ევროპისაკენ მიდის, ამ დროს სინგაპურიზაციაზე ლაპარაკობენ, ხოლო რუსეთზე ქონებას ყიდიან, მაგრამ სინამდვილეში ძნელია თქმა, საით მივდივართ. ამის დასტურად ერთ ფაქტსაც მოგიყვანთ: 2009 წლის იანვარში გაფორმდა ქარტია აშშ-სთან, სადაც წერია, რომ ამერიკა მზად არის განიხილოს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღება. ამის შემდეგ უკვე ორ წელიწადზე მეტი გავიდა. თუ ვიცით რა პირობებს აყენებს ვაშინგტონი, რომ ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ჩამოყალიბდეს? – არ ვიცით. სამაგიეროდ, ვიცით ევროკავშირს რა მოთხოვნების აქვს, მაგრამ თბილისი ბრიუსელის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. თუ დასავლური ორიენტაცია გვაქვს, რატომ არ ვაკმაყოფილებთ ამ მოთხოვნებს, ან რატომ არ ვაჩქარებთ ამერიკისგან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღებას? რატომ არ ვიცით რას ითხოვს ჩვენგან ვაშინგტონი? რატომ არ მუშაობს მთავრობა ამ საკითხზე? – მსგავს კითხვების დასმა უსასრულოდ შეიძლება! ჩვენ დღეს გვეძლევა ისტორიული შანსი, როცა ევროკავშირი გვიწოდის ხელს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მისაღწევად, მაგრამ ჩვენი მთავრობა და ფსევდო არასამთავრობო სექტორი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს. ამიტომაც ვამბობ, ჩვენი გზა არის “გზა არსაით”, რაც ნამდვილად სამწუხარო ფაქტია.

ესაუბრა **ხათუნა ჩიგოგიძე**